ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ. N53-ში (საკადასტრო კოდი № 03.01.22.251, 03.01.22.259, 03.01.22.256), მდებარემშენებარე სამი (V-VI; VII-VIII, IX-Xკორპუსი) 16 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დასრულების საამშენებლო სამუშაოები.

ტექნიკური დავალების დანართი N2.2. ანოტაცია

სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ. N53-ში, თბილისიდან 230 კმ მანძილზე. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-ქუთაისი-წყალტუბოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზით.

პროექტით წარმოდგენილია ტიპიური 16 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ტიპიურ სართულზე განთავსებულია 10 ბინა. შენობა ორ სადარბაზოიანია, თითო სადარბაზოში ბინების რაოდენობა შეადგენს 80-ს. შენობას აქვს 4 ლიფტი და ორი კიბის უჯრედი.

შენობა კარკასული ტიპისაა. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების მიხედვით ქუთაისი იმყოფება 8 ბალიან სეისმურ ზონაში. შენობას აქვს სარდაფის სართული. შენობის თექვსმეტივე სართულზე 10-10 ბინაა გათვალისწინებული: აქედან 2-სამოთახიანი, 4-ოროთახიანია და 4-ერთოთახიანია. თითოეულ კორპუსში 160 ბინაა. ბინების ჯამური რაოდენობაა -320.

პროექტი ითვალისწინებს: სამი (N V-VI; VII-VIII, IX-X) 16 სართულიანი საცხოვრებელი სახლის დასრულების სამშენებლო სამუშაოებს, წყალსადენ-კანალიზაციის, ელ. ტექნიკური და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებს.

დღეის მდგომარეობით კორპუსები ნაწილობრივ დასრულებულია. ტენდერში მონაწილეობამდე დაინტერესებულმა კომპანიამ ადგილზე უნდა მოინახულოს სამშენებლო ტერიტორია.

კონტრაქტორმა ასევე უნდა წარმოადგინოს კეთილმოწყობის და გარე საინჟინრო კომუნიკაციების პროექტი არსებული ესკიზური პროექტის მიხედვით. პროექტის მომზადების ღირებულება არ იქნება დამატებით ანაზღაურებული.